

“დამტკიცებულია”

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა
და სპორტის კოლეჯის დირექტორის
2020 წლის 15.06 N 03-03 ბრძანებით

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების
განხორციელების შეფასების წესი



თბილისი 2020

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-6 მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად.

1.2. წინამდებარე წესი უზრუნველყოფს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას.

1.3. სსიპ - საქართველოს ფიზიური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში საგნობრივი და მოდულური) განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

1.4. საგნობრივი და მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა ადგენს პროგრამის შეფასების სისტემის ელემენტებს და შეფასების განხორციელების პროცედურებს, რასაც შესაძლოა მოყვეს სამი ძირითადი შედეგი:

- რეკომენდაციებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით.
- საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, ურთიერთობების განვითარებისა და საქმიანობის საუკეთესო გამოცდილების ამსახველი ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა;
- საკუთარი პოტენციალის უკეთ გაცნობიერება, განვითარების ორგანიზაციული დაგეგმვისა და სწავლების პროცესების სრულყოფა.

1.5. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურებს ახორციელებს ხარისხის მართვის უზრუნველყოფის მენეჯერი და შედეგებს წარუდგენს კოლეჯის დერექტორს, რომლის გადაწყვეტილებითაც პროგრამის განხორციელების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროების შემთხვევაში მტკიცდება სამოქმედო გეგმა.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების კომპონენტები და მექანიზმები

2.1. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების კომპონენტებია:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო მასალები; ლიტერატურა;
- სწავლების მეთოდები;
- სასწავლო პროცესის მართვა და მონიტორინგი;
- თითოეული კომპონენტის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები მოცემულია დანართებში.

2.2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისათვის კოლეჯში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:

ა) კოლეჯის მიერ თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და სსიპ ”განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში” წარდგენა, ცენტრი დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

ბ) კოლეჯში რეალიზებული საგნობრივი და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება და მათ შესაბამისად ყოველწლიურად შიდა შეფასების განხორციელება;

გ) მასწავლებლების მიერ წარმართულ ლექციებსა და სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება;

დ) საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პირების, დაინტერესებული მხარეების (სტუდენტი, მასწავლებლები, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვ.) კითხვარების შემუშავება და გამოკითხვის ორგანიზება ყოველწლიურად;

2.3. კოლეჯი ზრუნავს სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე, სწავლობს უცხოურ პრაქტიკას და ხელს უწყობს მის დანერგვას კოლეჯში.

მუხლი 3. პროგრამის აქტუალურობა

3.1. პროგრამის აქტუალურობა შეიძლება დასაბუთდეს რამდენიმე ფაქტორით:

- პროგრამის შემუშავებისას დამსაქმებელთა, პროფესიული ასოციაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხარისხი;
- არსებული დასკვნები და გამოხმაურებები პროგრამასთან დაკავშირებით;
- რამდენად ითავალისწინებს პროგრამა დამსაქმებელთა და პროფესიული ასოციაციების, აგრეთვე სტუდენტთა და მათი მშობლების მოთხოვნებს;
- პროგრამა ფოკუსირებულია ისეთ სფეროზე, სადაც აუცილებელია ცოდნისა და უნარ-ჩვევების პერიოდული განმტკიცება-განახლება.
- შრომის ბაზრის მოთხოვნები.

მუხლი 4. გამოყენებული მასალა, ლიტერატურა

4.1. პროგრამაში გამოყენებული მასალა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზანს და ამოცანებს;

4.2. პროგრამაში ასახული მასალა უნდა იყოს ახალი და ასახავდეს მოცემულ დარგში დამკვიდრებულ პროფესიულ სტანდარტებს;

4.3. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის ძირითად მასალას - მსმენელისათვის მისაწოდებელ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაწესებულების ბიბლიოთეკაში ნაბეჭდი ან ელექტრონული მატარებლის სახით.

მუხლი 5. სწავლების მეთოდები

5.1. უნდა შეფასდეს, იძლევა თუ არა პროგრამაში მოცემული სწავლების მეთოდები დასახული ამოცანების გადაჭრის საშუალებას.

5.2. გამოყენებული უნდა იყოს სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს მსმენელის აქტიურ მონაწილეობას: დისკუსიას, კონკრეტული შემთხვევების ანალიტიკურ გარჩევებს, სიტუაციურ ამოცანებს, წინასწარ მიცემული დავალების საფუძველზე მომზადებულ სტუდენტთა მოხსენებებს, სიტუაციის იმიტაციას და სხვა;

5.3. უნდა შეფასდეს პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო ტექნიკური საშუალებების და დამხმარე თვალსაჩინოების არსებობის საკითხი, რაც სწავლების

მეთოდების ადეკვატური უნდა იყოს.

5.4. მნიშვნელოვანია გამოყენებული სადემონსტრაციო მასალის შეფასება. სადემონსტრაციო მასალა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის ძირითად შინაარსს.

მუხლი 6. ცოდნის შეფასების სისტემა

6.1. ხარისხის მართვის მენეჯერი განიხილავს, რამდენად ადეკვატურია სტუდენტთა შეფასების მეთოდები. ამასთან უნდა განისაზღვროს, მოიცავს თუ არა კითხვარი ან საგამოცდო საკითხები პროგრამით გათვალისწინებული მასალის ძირითად ნაწილს და იძლევა თუ არა შეფასების მეთოდი პროგრამით გათვალისწინებული სწავლისა და პრაქტიკის შედეგების შემოწმების საშუალებას.

6.2. გამოყენებულია თუ არა პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების ადეკვატური მეთოდი, ვინაიდან პროფესიული პროგრამის ამოცანებს განეკუთვნება სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. მონაწილეობს თუ არა წარმომადგენელი პრაქტიკის ობიექტიდან პრაქტიკის შედეგების შეფასებაში.

6.3. შეესაბამება თუ არა სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა დადგენილ წესს. ხომ არ ატარებს სტუდენტთა შეფასება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს, არის თუ არა შეფასების სისტემა მრავალკომპონენტური. რამდენად დასაბუთებულადაა გადანაწილებული ქულები კომპონენტებს შორის.

6.4. შეფასების სისტემის კომპონენტები იმდაგვარად უნდა იყოს გაწერილი, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსით გათვალისწინებული თითოეული სახის კომპეტენციის (კოგნიტური, პრაქტიკული, ანალიტიკური, კომუნიკაციური და ღირებულებითი) შეფასება.

მუხლი 7. შიდა შეფასება (თვითშეფასება) - მექანიზმები და განხორციელების წესი

7.1. თვითშეფასების მიზანია დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის დანერგვა, შესრულებული სამუშაოს სისტემატური კრიტიკული გადაფასების, პრობლემების იდენტიფიცირებისა და განვითარების გზების დასახვის საშუალებით.

7.2. თვითშეფასების შედეგები გამოიყენება როგორც ხარისხის განვითარების შიდა (პროგრამის განვითარება, რესურსების განვითარება, ფინანსური ეფექტიანობის ამაღლება და ა. შ), ასევე გარე (ავტორიზაცია, აკრედიტაცია) პროცედურებისათვის.

7.3. თვითშეფასების პროცესს აკოორდინირებს და თვითშეფასებაში ჩართულ სტრუქტურებს განსაზღვრავს ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

7.4. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს:

- ა) კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების კითხვარს;
- ბ) შეიმუშავებს კითხვარების სხვადასხვა ფორმებს.

მუხლი 8. გარე შეფასება - მექანიზმები და განხორციელების წესი

8.1. კოლეჯის სტატუსის ახალი ვადით მოპოვების მიზნით 6 წელიწადში ერთხელ კოლეჯი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენს განაცხადს და ავსებს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების კითხვარს.

8.2. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში საზოგადოებრივი კოლეჯი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განაცხადოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის/ების დამატების შესახებ.

მუხლი 9. პროფესიული მასწავლებლის შეფასება

9.1. პროფესიული მასწავლებლის ხარისხის შეფასება და განსაზღვრა ხორციელდება სწავლების კომპეტენციის დადგენით;

9.2. პროფესიული მასწავლებლის კომპეტენციის დადგენისას გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

- ა) სწავლების და შეფასების სწორი მეთოდები;
- ბ) საგნობრივი და მოდულური პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- გ) ცოდნის გადაცემის უნარის შემოწმება;
- დ) პროფესიული სტუდენტის სამართლიანი შეფასება;
- ე) დარგობრივი კომპეტენციების ცოდნა;
- ვ) სასწავლო კურსის განხორციელების პროცესის მართვა;
- ზ) კონსულტაციების გამართვა.

9.3. პროფესიული მასწავლებლის სწავლების კომპეტენციის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- ა) პროფესიული მასწავლებლის თვითშეფასება;
- ბ) პროფესიული მასწავლებლის მიერ წარმართულ ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება;
- გ) პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი;

9.4. სტუდენტის მიერ პროფესიული მასწავლებლის შეფასება პედაგოგის შეფასების მნიშვნელოვანი მეთოდია, რისთვისაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეიმუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ანკეტა-კითხვარები;

9.5. სტუდენტთა სისტემატური გამოკითხვის ორგანიზებისთვის ხარისხის მენეჯერს შეიმუშავებული აქვს კრიტერიუმები, რეგულაციები და პროცედურები; სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის/სემესტრის ბოლოს; მოდულური პროგრამების შემთხვევაში ხორციელდება მოდულების დასრულების შემდეგ (არჩევითი პრინციპით); გამოკითხვა არის ანონიმური და აუცილებელია კონფიდენციალობის დაცვა;

9.6. სტუდენტების გამოკითხვის შედეგად ხდება შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი, მათი საჯაროდ გამოქვეყნება და რეკომენდაციების წარდგენა.

9.7. პედაგოგის თვითშეფასების ანგარიშის ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი წარადგენს რეკომენდაციებს ადმინისტრაციის წინაშე სასწავლო საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

მუხლი 10. პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

10.1. სასწავლო პროცესის შეფასების უმთავრეს ინდიკატორს წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრება;

10.2. პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგად დგინდება:

- ა) საგნობრივი და მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის და ცალკეული მოდულების სირთულის ხარისხი და დონე;

ბ) შეფასებისას გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა;

გ) პროფესიული სტუდენტების მომზადების დონე.

10.3. აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზის შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზების შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით.

მუხლი 11. მოდულური პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმები

11.1. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეებია: დამსაქმებლები, პედაგოგები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები;

11.2. აღნიშნული პირების ჩართულობა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფასა და განვითარებაში დასაბუთებულია სახელმწიფოს, შრომის ბაზრის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, საზოგადოებისა და დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროების კვლევის მეთოდით;

11.3. კვლევა ტარდება გამოკითხვის მეთოდით;

11.4. კვლევის შედეგების საფუძველზე შექმნილი საერთო სურათი საგნობრივი და მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს აძლევს შესაბამის მიმართულებებს უკეთ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, გაითვალისწინონ საბაზრო მოთხოვნები და სტუდენტთა დამოკიდებულება აღნიშნული მოდულური პროგრამის განვითარების მიმართულებით.

11.5. ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს დაინტერესებულ მხარეებთან, რისთვისაც ადგენს სხვადასხვა სახის კითხვარებს;

11.6. გამოკითხვები ტარდება იმ ორგანიზაციებთან და პრაქტიკის ობიექტებთან, რომლებთანაც კოლეჯს პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები (მემორანდუმები).

მუხლი 12. პროგრამის ხანგრძლივობა, განხორციელების პირობები

12.1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწმდება და ფასდება თუ რამდენად ადეკვატურია პროგრამის ხანგრძლივობა. ხანგრძლივობის ადეკვატურობა უნდა შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობების (ლექცია-სემინარები, პრაქტიკული მუშაობა, ტესტირება და სხვა) წარმოდგენილი განრიგის მიხედვით. უნდა განისაზღვროს შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი საქმიანობა პროგრამით გათვალისწინებული მასალის მოცულობას.

მუხლი 13. ადამიანური რესურსების შეფასება

13.1. ადამიანური რესურსების შეფასებისას უნდა განისაზღვროს, დაკავებულია თუ არა პროგრამის განხორციელებაში სათანადო მომზადებისა და კვალიფიკაციის პერსონალი, საკმარისია თუ არა მათი რაოდენობა.

13.2. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სათანადო გამოცდილება იმ კონკრეტულ სფეროში, რომელსაც ეხება საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან, უნდა შეფასდეს, როგორც პედაგოგების, ისე ტექნიკური პერსონალის მონაცემები;

13.3. პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტში დაკავებული მასწავლებლები მაღალ პროფესიულ დონეზე უნდა ფლობდნენ აღნიშნულ უნარ-ჩვევებს.

მუხლი 14. შეფასებისას გამოყენებული წყაროები

14.1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოყენებული ინფორმაცია მოპოვებული უნდა იყოს კანონიერი გზით, უნდა იყოს სანდო და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს მისი პირველი წყაროს გადამოწმება.

14.2. შეფასებისას გამოყენებული იქნება რესპოდენტთა ანკეტური გამოკითხვები (სასწავლო კურსის შეფასება პროფესიული სტუდენტის მიერ, დანართი 1, სასწავლო პროცესის შეფასება პროფესიული მასწავლებლის მიერ, დანართი 2; პროფესიული სტუდენტის მშობლის კითხვარი, დანართი 3; დამსაქმებლის კითხვარი, დანართი 4; კურსდამთავრებულის კითხვარი, დანართი 5;).

14.3. გამოკითხვა ხორციელდება ანონიმურობის, პროფესიული ეთიკისა და თანამშრომლობით პროფესიული განვითარების პრინციპების დაცვით. საჯაროდ ხელმისაწვდომია მხოლოდ განზოგადებული და დამუშავებული მასალები.

დანართი 1 - პროფესიული სტუდენტის კითხვარი;

დანართი 2- პროფესიული მასწავლებლის კითხვარი;

დანართი 3 - დამსაქმებლის კითხვარი;

დანართი 4 - კურსდამთავრებულის კითხვარი;

დანართი 5 - საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი

დანართი 6 - პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასების კითხვარი

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

სტუდენტის კითხვარი

(ივსება პროფესიული სტუდენტის მიერ)

საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური

მოდულის დასახელება

მოდულის მასწავლებლის სახელი, გვარი

(გამოკითხვა ანონიმურია და მიზნად ისახავს მოდულური სწავლების დანერგვის პროცესის შეფასებას პრობლემების იდენტიფიცირების და სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. თქვენი პასუხები, შენიშვნები და კომენტარები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.)

№	კითხვები	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი /რეკომენდაცია.
1.	სასწავლებელმა მომაწოდა ინფორმაცია მოდულური სწავლების შესახებ				
2.	გავეცანი მოდულის სწავლის შედეგებს				
3.	გავეცანი შესრულების კრიტერიუმებს				
4.	გამაცნეს, თუ როგორ მოხდება ჩემი მიღწევების შეფასება მოდულის/პროგრამის ფარგლებში				
5.	ვფიქრობ, რომ მოდულის/პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები გამომადგება მომავალ პროფესიულ საქმიანობაში				
6.	ვიცნობ მთლიანობაში მოდულურ სასწავლო პროგრამას და შესაბამის სასწავლო გეგმას				
7.	მასწავლებელი/მასწავლებლები გასაგებად ხსნიან მასალას				
8.	სწავლის პროცესში ვიღებ საჭირო დახმარებას და კონსულტაციას				
9.	მასწავლებელი სისტემტურად იძლევა შეფასებას, რჩევებსა და რეკომენდაციებს ჩემს მიღწევებთან დაკავშირებით				

10.	სასწავლო პროცესი საინტერესოდ მიმდინარეობს				
11.	მოდულზე გათვალისწინებული საათები საკმარისია პრაქტიკული უნარების დასაუფლებლად?				
12.	შემოთავაზებული სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) აკმაყოფილებს ჩემს სასწავლო საჭიროებას.				
13.	სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) ჩემთვის ხელმისაწვდომია				
14.	სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები მთელი ჯგუფისათვის საკმარისია (მოდულის სწავლებისათვის) - არ გვაქვს პრობლემა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით				
15.	სასწავლო აუდიტორიები (ლაბორატორიები, სახელოსნოები) მოდულის მიზნების შესაბამისადაა აღჭურვილი				

16.	<p>გთხოვთ გახაზოთ ქვემოთ მოცემულ პასუხებიდან ერთ-ერთი:</p> <p>ა) ყველა მეცადინეობას დავესწარი</p> <p>ბ) მაქვს უმნიშვნელო გაცდენები</p> <p>გ) თითქმის ნახევარს ვაცდენ</p> <p>დ) უმეტეს შემთხვევაში ვერ ვახერხებ დასწრებას</p>
-----	---

შენიშვნა : „ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთხვევაში შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები მოდულის სტრუქტურასთან დაკავშირებით:

კითხვარის შევსების თარიღი:

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

მასწავლებლის კითხვარი

(ივსება პროფესიული მასწავლებლის მიერ)

საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

მასწავლებლის სახელი, გვარი

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური

მოდულის დასახელება

N	კითხვები	დიახ	ნაწილ ობრივ	არა	შენიშვნები/ რეკომენდაციები
1.	იცნობთ თუ არა სრულად აღნიშნულ მოდულურ პროგრამას?				
2.	გაქვთ თუ არა თქვენი მოდულის ანალოგიური სწავლის შედეგების მქონე კურსის სწავლების გამოცდილება?				
3.	პირადად მონაწილეობდით თუ არა სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში?				
4.	პირადად მონაწილეობდით თუ არა კალენდარული გეგმის შემუშავების პროცესში?				
5.	მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას:				
6.	მისაღებია თუ არა მოდულის სტრუქტურა?				
7.	თქვენის აზრით, სწორადაა განსაზღვრული მოდულის გავლის წინაპირობები?				
8.	სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები კალენდარული გეგმის შემუშავებისას?				
9.	სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები შეფასების დაგეგმვისას?				
10.	შეესაბამება თუ არა რეკომენდებული თემატიკა მისაღწევ სწავლის შედეგებს?				
11.	რამდენად შეესაბამება რეკომენდირებული სწავლების მეთოდები მისაღწევ სწავლის შედეგებს?				

12.	რამდენად შეესაბამება მტკიცებულებები დასადასტურებელ სწავლის შედეგებს?				
13.	ადეკვატურია თუ არა მოდულის საათების ჯამური რაოდენობა დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად?				
14.	ადეკვატურია თუ არა საათების გადანაწილება სწავლის შედეგებისა და დატვირთვის ფორმების (ლექცია, პრაქტიკული, დამოუკიდებელი, შეფასება) მიმართ				
15.	არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის დანერგვის პროცესი საჭირო მასალებითა და ინვენტარით?				
16.	არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის დანერგვის პროცესი საგანმანათლებლო რესურსებით (სახელმძღვანელოები, ინტერნეტრესურსები)				
17.	მოდულური სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ხომ არ საჭიროებთ რაიმე საკითხებზე დამატებით ტრენინგს/ კონსულტირებას?				

შემოგვთავაზეთ სარეკომენდაციო წინადადებები პროგრამის დამატებით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე.

შენიშვნა : „ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთხვევაში შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები მოდულის სტრუქტურასთან დაკავშირებით:

კითხვარის შევსების თარიღი: _____

მასწავლებლის ხელმოწერა: _____

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი
 დამსაქმებლის კითხვარი
 (ივსება დამსაქმებლის მიერ)

(დაწესებულების/ორგანიზაციის სახელწოდება, მისამართი და ტელეფონი)

N	კითხვები	დიახ	ნაწილ ობრივ	არა	შენიშვნები/ რეკომენდაციები
	რამდენად უზრუნველყოფს ჩვენი კურსდამთავრებულის ცოდნა და უნარები იმ მოთხოვნებს, რაც აუცილებელია თქვენი სამსახურეობრივი საქმიანობის შესასრულებლად?				
2.					
3.					
4.					
5.					
6.					
7.					
8.					
9.					
10					
11					

2.რა ცოდნა არ მიგაჩნიათ საკმარისად ჩვენი კურსდამთავრებულების განათლებაში სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად?

- ა) თეორიული ცოდნა
- ბ) პრაქტიკული უნარ-ჩვევები
- გ) უცხო ენის ცოდნა
- დ) დამოუკიდებელი მუშაობის უნარი
- ე) გუნდში მუშაობის უნარი
- ვ) არასპეციალისტებისათვის გასაგებად ახსნის უნარი

ზ) საკუთარი შეხედულების დასაბუთების უნარი

თ) დროის სწორი გათვლის უნარი

ი) ცოდნის მუდმივი განახლების უნარი

კ) დებატებში ჩართვისა და განსხვავებული აზრის გაზიარების უნარი

ლ) ადამიანური ღირებულებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა

სხვა _____

3. თუ დაგჭირდა ჩვენი კურსდამთავრებულის გადამზადება (მათთვის დამატებით ცოდნის/უნარ-ჩვევების გადაცემა)? სად და რა ფორმით მოხდა ეს?

რა დრო და ფინანსები დასჭირდა გადამზადებას?

ა) კი

ბ) არა

4. რა წესით ხდება თქვენს ორგანიზაციაში კადრის შერჩევა ვაკანსიის დაკავებისას?

ა) ვაკანსიის გამოცხადებით;

ბ) სხვა კომპანიიდან კადრების გადმოზიდვით;

გ) თანამშრომლების ან ნაცნობების რეკომენდაციით;

სხვა _____

5. ძირითადად როგორ უზრუნველყოფთ შესაბამისი კვალიფიკაციების მქონე ადამიანების მოძიებას?

ა) სტაჟირების შედეგად

ბ) გასაუბრებით

გ) რეკომენდაციით

დ) ტესტირებით

6. კმაყოფილი ხართ, რომ თქვენი არჩევანი შეაჩერეთ ჩვენს კურსდამთავრებულზე?

ა) კი

ბ) არა

7. გთხოვთ აღწეროთ ის ძირითადი სირთულეები, რომლებიც გზვდებათ ადამიანური რესურსების მოძიებისას

- ა) შრომით ბაზარზე კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;
- ბ) არასაკმარისი კომუნიკაცია კურსდამთავრებულებთან;
- გ) არასაკმარისი კომუნიკაცია საუნივერსიტეტო დასაქმების ცენტრებთან;
- დ) კურსდამთავრებულის მხრიდან რეგიონებში დასაქმების არასაკმარისი მზაობა
- ე) კურსდამთავრებულის მხრიდან შეთავაზებულზე მეტი ანაზღაურების მოთხოვნა
სხვა _____

8. რატომ შეაჩერეთ არჩევანი ჩვენ კურსდამთავრებულზე?-----

9. გთხოვთ მოგვაწოდოთ რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს თქვენს სფეროში შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობა (ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში, პრაქტიკა შესაბამის ორგანიზაციებში, მეთოდოლოგიის შეცვლა და სხვ.). -----

10. თქვენს დაწესებულებაში რა კვალიფიკაციაზეა ძირითადად მოთხოვნა? -----

გმადლობთ თანამშრომლობისათვის

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

კურსდამთავრებულის კითხვარი

კურსდამთავრებულის კვალიფიკაცია-----

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების წელი -----

1. რამდენად უზრუნველყო თქვენს მიერ მიღებულმა განათლებამ ის მოთხოვნები, რაც აუცილებელია თქვენი საქმიანობის შესასრულებლად?

- ა) სრულად;
- ბ) ნაწილობრივ;
- გ) ვერ უზრუნველყო

2. დღევანდელი შეფასებით, რამდენად ადეკვატურად შეარჩიეთ თავდაპირველი პროფესია/სპეციალობა/სასწავლებელი?

- ა) ადეკვატურად
- ბ) ნაწილობრივ
- გ) არაადეკვატურად

3. თუ დაგჭირდათ დამატებით განათლების მიღება, სად და რა ფორმით მიიღეთ ის? რა დრო და ფინანსები დაგჭირდათ გადამზადებისათვის?

- ა) არდამჭირდა
- ბ) დამჭირდა

4. თქვენს მიერ მიღებული ცოდნა მიგაჩნიათ თუ არა საკმარისად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის? (უარყოფითი პასუხის გაცემისას დაკონკრეტეთ რა სახის ცოდნა აკლია, მაგალითად: თეორიული, პრაქტიკული, უცხო ენის სწავლება და სხვ.)

- ა) კი
- ბ) არა

5. რა წესით მოხდა თქვენი შერჩევა ამ ვაკანსიის დაკავებისას?

- ა) გამოვეხმაურე გამოცხადებულ ვაკანსიას
- ბ) პირადი ნაცნობობით
- გ) დავიწყე სტაჟირებით
- დ) სხვა

6. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენად შეესაბამებოდა თქვენი თეორიული მომზადება იმ პრაქტიკულ ამოცანებს, რომლის გადაწყვეტა მოგიწიათ თქვენს სამსახურში?

- ა) შეესაბამებოდა

ბ) ნაწილობრივ შეესაბამებოდა

გ) არ შეესაბამებოდა დ) სხვა _____

7. ხომ არ აპირებთ კვალიფიკაციის შეცვლას ან დამატებითი სპეციალობის შესწავლას? (დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ, რომელ დაწესებულებაში და რამდენ ხანში აპირებთ განათლების გაგრძელებას).

ა) კი

ბ)

არა

8. აპირებთ თუ არა თქვენი სპეციალობით სწავლის გაგრძელებას და ცოდნის გაღრმავებას? (დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ რომელ დაწესებულებაში; უარყოფითი პასუხის შემთხვევაში დავაზუსტოთ მიზეზი, მაგალითად: შესაბამისი ცოდნის არარსებობის გამო, დროის სიმცირის გამო და სხვ.)

ა) კი

ბ)

არა

9. რა პრობლემები შეგხვდათ სამსახურის მოძიებისას?

10. გთხოვთ, დაასახელოთ ის დარგი/საკითხები, რომელშიც თქვენი აზრით არ მიგიღიათ საკმარისი თეორიული ცოდნა, ან რომელიც არ ისწავლება საკმარისად ღრმად?

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი
საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

პროგრამის დასახელება:

მოდულის დასახელება:

საკონტაქტო საათის ფორმატი: *(ლექცია, პრაქტიკული, შეფასება)* _____

საკონტაქტო საათებზე დასწრების თარიღი და დრო: _____

მასწავლებელი _____

ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა: _____ მეცადინეობაზე სტუდენტთა

რაოდენობა: _____

საკონტაქტო საათის მახასიათებლები	შეფასება/მიზანთან შესაბამისობა		
	შეესაბამება	არ შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება
1. საკონტაქტო საათის თემის შესაბამისობა წინასწარ გაწერილ კალენდარულ/გაკვეთილის გეგმასთან			
კომენტარი:			
2. გაკვეთილის სტრუქტურის შესაბამისობა გაკვეთილის მიზანთან <i>(საორგანიზაციო ეტაპი, აქცენტი წინარე ცოდნაზე, მასალის შესწავლა/ახალი უნრების ათვისება; სწავლის შედეგების განმტკიცება; რეფლექსია)</i>			
კომენტარი:			
3. მასწავლებლის მიერ მეცადინეობის პროცესში გამოყენებული მეთოდებისა და აქტივობების			

შესაბამისობა საწავლების მიზანთან და რეგულირება			
კომენტარი:			
4. რეალურად დახარჯული დროის შესაბამისობა მოდულის ჩანაწერებთან			
კომენტარი:			
5. პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა და აქტიურობა სწავლის პროცესში			
კომენტარი:			
6. სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების ხელშეწყობა (მათ შორის სსსმ სტუდენტების)			
კომენტარი:			
7. სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა სასწავლო მასალებით და საგანმანათლებლო რესურსებით			
კომენტარი:			
8. სასწავლო გარემოს შესაბამისობა სწავლების მიზანთან			
კომენტარი:			
9. გაკვეთილის გარემო, კლიმატი, ატმოსფერო			
კომენტარი:			
10. სწავლის შედეგების განმტკიცება			
კომენტარი:			

11. მასწავლებლის ზოგადი სახე, საკომუნიკაციო უნარები			
კომენტარი:			

პროფესიული მასწავლებლის

კომენტარი _____

ხელმოწერა/პროფესიული

მასწავლებელი: _____

დამკვირვებლის უკუკავშირი

ხელმოწერა/გარე მხარდაჭერის სპეციალისტი: _____

ადგილი:

თარიღი:



სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი
 პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასების კითხვარი

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება _____

მოდულის დასახელება _____

მასწავლებლის სახელი, გვარი _____

გამოკითხვა ანონიმურია და მიზნად ისახავს სწავლების პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას. ამიტომ, სწავლის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით თქვენი პასუხები, შენიშვნები და კომენტარები ძალიან მნიშვნელოვანია.

№	კითხვები	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი/ რეკომენდაცია
1.	პროფესიული მასწავლებელი მუშაობს მთელ გუნდთან?				
2.	პროფესიული მასწავლებელი მხარს უჭერს დამოუკიდებელ აზროვნებას?				
3.	პროფესიული მასწავლებელი იცავს ეთიკის ნორმებს?				
4.	პროფესიული მასწავლებლის მიერ დაგეგმილი გაკვეთილი გასაგებია?				
5.	პროფესიული მასწავლებელი მზად არის შეკითხვებოსთვის?				
6.	მასწავლებელი მეტყველებს გასაგებად?				
7.	ახალ ან გაუთვალისწინებელ ვითარებაში მასწავლებლის რეაქცია შესაბამისია?				
8.	თქვენი აზრით, მასწავლებელი კარგად არის მომზადებული?				